



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№3, 2018





კონკურსები

1. 2018 წლის 29 აგვისტოს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 – 2020 წლების წარმოების დაფინანსების კონკურსი.

საკონკურსო ფონდი - 1 000 000 ლარი

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2018 წლის 22 ნოემბერი.

www.gnfc.ge

მზადდება:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდო“ დირექტორი - რუსუდან ჭყონია, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი“ დირექტორი - შოთა ბაშარული, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოსავალი“ (პროდიუსერი - ააიპ „სინემარკ“ დირექტორი - ნათია გულიაშვილი, რეჟისორი - მიხეილ ანთაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „თორმეტი გაკვეთილი“ (პროდიუსერი ააიპ „მაკ“ ჯერეჯი ჯეიმს გასკილ, რეჟისორი გიორგი მრეველიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „და სხვები“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 1,2,3,“ გიორგი ტეტიაშვილი, რეჟისორი - დავით გურგულია).



“ალღუმი”



“ზოლემია”



“მინდვრის ყვავილები”

წარმოებაში:


- მცირებიუჯეტური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ზამთრის დეპრესია” (პროდიუსერი - შპს “Film Asylum”, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიშკიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი - შპს „სოლოსოლო“ დირექტორი-ბესიკ სოლომანაშვილი, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთარის სიკვდილი“ (პროდიუსერი - შპს „მაისის ფერი“ დირექტორი - ევა ბლონდი, რეჟისორი - იოსებ ბლიაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მკვდარი სულების არდადეგები“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ კონსტანტინე კალანდაძე, რეჟისორი - ეკატერინე ჭელიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ცხვედიანი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ტრაური“ (პროდიუსერი - ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“, დირექტორი - ზურაბ დიასამიძე, რეჟისორ/ანიმატორი - პეტრე თომაძე);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს “20 steps production”, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კვალი XXI“ ცოტნე კალანდაძე, რეჟისორ/ანიმატორი - მარი კაპანაძე).

გადაღების პროცესშია:

- მცირებიუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ინგა” (პროდიუსერი - შპს “სიბლერ ფილმსი”, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როგორ გავხდეთ ქართველი“ (პროდიუსერი - შპს „ეზც ფილმ სტუდიო“ გიორგი ჯეჯია, რეჟისორი - ნათია არაბული-ვეგერი).

მონტაჟდება:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კრიმანჭულის ქურდები“ (პროდიუსერი - შპს „აბკ სტუდია“, დირექტორი - კარლო ჩიხრაძე, რეჟისორი - ხათუნა ხუნდაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სინემანია“ (პროდიუსერი - შპს „აკრობატი“ დირექტორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რეჟისორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი);
- მხატვრული ფილმი „ჩემი სახლი ტყის პირას“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - თამარ შავგულიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გადასასვლელი“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ვაკო კირკიტაძე, რეჟისორი - თაზო ნავერიანი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზაფხული“ (პროდიუსერი - შპს „თეიქს ფილმი“ დირექტორი - ქეთევან დანელია, რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დამლაშებული პირსახოცები“ (პროდიუსერი - შპს „თეიქს ფილმი“ დირექტორი - ქეთევან დანელია, რეჟისორი - ალექსანდრე ქვირია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეხდაკრული“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ნიკოლოზ გუგუშვილი, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- ქართულ - უცხოური კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “როგორ გავყიდოთ ომი” (პროდიუსერი - შპს “20 steps production” - დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რუდოლფ ჰერცოგი);



“უცხო”



“საშლელი”



“მეოთხე ბრაიტონი”



“სანამ მამა დაბრუნდება”

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი - „3003 ფილმ ფროდაქშენ“ მინდობილი პირი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - ლანა ლოლობერიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გომიაშვილი, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - კ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარქსის ქუჩა 12“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია კედარი“ - ირინე ჟორდანიას, რეჟისორი - ირინე ჟორდანიას);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცარიელი მაგიდა“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ დირექტორი - ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალიას);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (პროდიუსერი - შპს „კინო იბერიკა“ დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ზათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“ დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“ (პროდიუსერი - შპს „თავისუფალი კინოსტუდია“, დირექტორი - ედმონდ მინაშვილი რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე);

- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცუდი ხალხი“ (პროდიუსერი - „20 Steps productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი თავართქილაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი);
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „ლორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია);
- ერთობლივი ქართულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტონი“ (პროდიუსერი - შპს „Georgian International Films“ დირექტორი - მირზა დავითაია, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე);
- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინეტეკი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე);



„შეყვარებული ბაყაყი“

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი – “ისტორია საოჯახო ალბომიდან” (პროდიუსერი - აიპ “საქდოკ ფილმი” დირექტორი - ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი - ანნა ძიაპშიპა);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი -ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია);
- სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუსი“ - (პროდიუსერი - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს “არტე-ფაქტ პროდაქშენი”, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (პროდიუსერი - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ბადათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).

დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“ დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი “სანამ მამა დაბრუნდება” (პროდიუსერი - შპს “ნუში ფილმი” დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშლელი“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი - დავით უჯმაჯურიძე, რეჟისორი - დავით ფირცხალავა);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „წინ, წინაპრებისკენ! (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“ დირექტორი - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე).

დავით ფირცხალავას ფილმი ლოკარნოს კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში უკვე მეორედ მოხვდა

დავით ფირცხალავა ლოკარნოს კინოფესტივალზე პირველად 2015 წელს წარსდგა მისი სადებიუტო ნამუშევრით “მამა”. ფილმი სექციაში Pardi di domani იყო ნაჩვენები და ფესტივალის ჯილდო “ოქროს ლეოპარდი” მოიპოვა.

3 წლის შემდეგ, რეჟისორი ლოკარნოში ახალი მოკლემეტრაჟიანი ფილმით “საშლელი” დაბრუნდა, რომელიც ადრინდელის მსგავსად, კვლავ საკონკურსო სექციაში Pardi di domani იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ Locarno Filmmakers Academy-მ სხვადასხვა ქვეყნიდან 19 ახალგაზრდა, წარმატებული რეჟისორი მიიწვია ლოკარნოს კინოფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა შეხვედრაზე და ღონისძიებაზე დასასწრებად. რჩეულ რეჟისორებს შორის მოხვდა მარიამ ხაჭვანი. მარიამმა ლოკარნოში მისი ახალ პროექტი “ნენე” წარმოადგინა, ACADEMY SCREENINGS-მა კი მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმის “დონოლა” ჩვენებას უმასპინძლა.

ლოკარნოში გაემგზავრა კიდევ ერთი ქართველი რეჟისორი - გიორგი ვარსიმაშვილი. მან დოკუმენტური ფილმის პროექტით “სიმართლისა და დღესასწაულის თეატრი” პროგრამაში Doc Summer School მიიღო მონაწილეობა.

საქართველო სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე



ისევე როგორც შარშან, სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე საქართველო წელსაც მასშტაბურად იყო წარმოდგენილი.

ფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა თინათინ ყაჯრიშვილის “ჰორიზონტი”. დოკუმენტური ფილმების კონკურსში წარმოდგენილი იყო მარიამ გულბიანის ფილმი “სანამ მამა დაბრუნდება”, ხოლო სტუდენტური ფილმების კონკურსში - ბაქარ ჩერქეზიშვილის “აპოლო - ჯავახეთი”.

ასევე, სარაევოს კინოფესტივალის ახალგაზრდა ტალანტების პროგრამას Talents Sarajevo მასპინძლობდა, რომელშიც პროდიუსერი ანი კაშია მონაწილეობდა.

წელს კინოფესტივალის მხატვრული ფილმების კონკურსის ჟიურის წევრი სწორედ ანა ურუშაძე იყო, რომლის ფილმმა “საშიში დედა” შარშან ამავე ფესტივალზე გრან პრი აიღო.



საქართველო ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე

ტორონტოს კინოფესტივალზე წელს რამდენიმე ქართული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

ტორონტოში გაიმართა ნინო ჟვანიას სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის “აღლუმში” მსოფლიო პრემიერა. ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის - გიორგი სიხარულიძის ფილმი “ახალი წელი” კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ტორონტოში გაიმართა ევა ჰუსონის ფილმის “მზის გოგონები” საერთაშორისო პრემიერაც. “მზის გოგონების” მსოფლიო პრემიერა რამდენიმე თვის წინ კანის კინოფესტივალზე შედგა.

ტორონტოს კინოფესტივალის ინდუსტრიულ პლატფორმაზე TIFF Filmmaker Lab, რომელიც ახალგაზრდა, ნიჭიერ კინემატოგრაფისტებს მასპინძლობს, საკუთარი პროექტი “ცარიელი სახლი” რატი წითელაძემ წარადგინა. ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის კომისიამ იგი 3 გამარჯვებულს შორის დაასახელა, რაც ნიშნავს იმას, რომ რატი ლოს-ანჯელესში, სამ კვირიანი რეზიდენციის ფარგლებში, ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის საბჭოს წევრებს, ცნობილ კინემატოგრაფისტებსა და მოწვეულ სპიკერებს შეხვდება და ოქროს გლობუსის 76-ე დაჯილდოებას დაესწრება.

ქართული ფილმები მელბურნის საერთაშორისო კინოფესტივალზე

2-19 აგვისტოს ავსტრალია მელბურნის საერთაშორისო კინოფესტივალს მასპინძლობდა, სადაც ქართული ფილმები იყო წარმოდგენილი.

კინოფესტივალზე 7 და 12 აგვისტოს აჩვენეს ანა ურუშაძის მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმი “საშიში დედა”, 9 და 17 აგვისტოს კი რატი წითელაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის “სოციალისტური პატიმარი” ჩვენება გაიმართა.

მელბურნის საერთაშორისო კინოფესტივალის კანის და ბერლინის კინოფესტივალების მსგავსად მსოფლიოს ერთ-ერთ უძველესი ფესტივალია. იგი 1952 წლიდან იმართება.

მონრეალის საერთაშორისო კინოფესტივალში

23 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით კანადაში მონრეალის საერთაშორისო კინოფესტივალში გაიმართა, სადაც გიგია აბაშიძის ფილმის “მეზობლები” პრემიერა შედგა.

“მეზობლები” ერთი დიდი სამეზობლოს შესახებ გვიყვება, სადაც ყველა ერთმანეთს ეხმარება. სიტუაცია მას შემდეგ იძაბება, რაც სამეზობლოში ინვესტორი შემოდის, რომელიც მეზობლების ბინების ყიდვას ცდილობს.



ქართულმა კინემატოგრაფისტებმა GOLDEN APRICOT-ზე 2 ჯილდო მოიპოვეს

15 ივლისს ერევანში საერთაშორისო კინოფესტივალი GOLDEN APRICOT საზეიმოდ დაიხურა. კინოფესტივალის დაჯილდოვების ცერემონიაზე ცნობილი გახდა, რომ ქართველმა კინემატოგრაფისტებმა 2 ჯილდოს მოპოვება შეძლეს.

მარიამ ხაჭვანის ფილმი “დედე” კინოკრიტიკოსთა ჟიურის ჯილდოს მფლობელი გახდა (FIPRESCI JURY PRIZE), ვახტანგ კუნცევ - გაბაშვილის დოკუმენტურმა ფილმმა “გამჭვირვალე სამყარო” კი ჟიურის სპეციალური აღნიშვნა (SPECIAL JURY MENTION) დაიმსახურა

ფესტივალზე საქართველოში ვიზიტის შემდეგ გაემგზავრა ცნობილი ამერიკელი რეჟისორი დარენ არონოფსკი, რომელსაც საპატიო ჯილდო Parajanov's Thaler გადასცეს.

ასევე, კინოფესტივალზე ნაჩვენები იყო რუსუდან პირველის ფილმი “სუსა”. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა - სოფიო ჭინჭარაულმა, კონსტანტინე კალანდაძემ, ბესიკ სოლომანაშვილმა, ქეთევან ნოზაძემ და რუსუდან პირველმა კი C2C მარკეტზე საკუთარი პროექტები წარადგინეს.



ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრები ლევან კოლუაშვილი და ია შულღიაშვილი იყვნენ

13-21 ივლისს უკრაინა ტრადიციულად მასპინძლობდა ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალის 2018 წლის გამოშვებას. აღსანიშნავია, რომ კინოფესტივალის ჟიურის წევრთა შორის 2 ქართველი კინემატოგრაფისტი იყო - მსახიობი ია შულღიაშვილი (International Competition Program Jury) და რეჟისორი ლევან კოლუაშვილი (National Competition Program Jury). ასევე, ოდესის კინოფესტივალზე აჩვენეს ლევან კოლუაშვილის დოკუმენტური ფილმი “გოგიტას ახალი ცხოვრება”.



საქართველო დიდი ბრიტანეთის ყველაზე პრესტიჟულ მოქალაქეობრივი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი Encounters Film Festival გაიმართა, სადაც წელს საქართველო მასშტაბურად იყო წარმოდგენილი.

25-30 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლში, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი Encounters Film Festival გაიმართა, სადაც წელს საქართველო მასშტაბურად იყო წარმოდგენილი.

ქართული კინოს რეტროსპექტივა დამეგობრებული ქალაქების - თბილისისა და ბრისტოლის მეგობრობის 30 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებას ეროვნული კინოცენტრი, ქალაქ თბილისის მერია და Encounters Film Festival ერთობლივად წარმოადგენდნენ.

ქართული ფილმები შემდეგ პროგრამებში იყო ნაჩვენები:

- Georgian New Talent
- Georgian Animation
- Georgian Film School
- Short2Feature
- Georgian Past Masters
- Alavardoba

ასევე, აღსანიშნავია, რომ ფართომასშტაბიანი რეტროსპექტივის პარალელურად, ახალგაზრდა რეჟისორის - რატი წითელაძის ფილმი “სოციალური პატიმარი” Encounters Film Festival-ის პროგრამაში SHORT FILM 1: CAN'T BREAK ME იყო წარმოდგენილი.

ბრისტოლში ფესტივალის სტუმრებისთვის ქართული წვეულებაც გაიმართა, რომელიც ქალაქ თბილისის მერიის მიერ იყო ორგანიზებული.

ქართული ფილმები TRANSATLANTYK FESTIVAL-ზე

13-20 ივლისს პოლონეთი Transatlantyk Festival-ს მასპინძლობდა, სადაც ქართული ფილმები იყო წარმოდგენილი.

სექციაში NEW CINEMA თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი “ჰორიზონტი” და ანა ურუშაძის ფილმი “საშიში დედა” აჩვენეს, ხოლო სექციაში SPECIAL SCREENINGS მარიამ ხაჭვანის ფილმმა “დედე” მიიღო მონაწილეობა.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი

ბათუმმა ტრადიციულად უმასპინძლა საავტორო კინოს საერთაშორისო კინოფესტივალს. დაჯილდოვების ცერემონიალი 24 სექტემბერს გაიმართა. ჯილდოები სამ საკონკურსო სექციაში გაიცა - საერთაშორისო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიურიმ კი კრიტიკოსთა რჩეული მხატვრული ფილმი გამოავლინა.



მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსი

- გრანპრი - „რეი და ლიზი“, რიჩარდ ბილინგჰემი, დიდი ბრიტანეთი;
- საუკეთესო რეჟისურა - ალიჩე რორვახერი ფილმისთვის „ბედნიერი ლაზარე“, იტალია შვეიცარია/საფრანგეთი/გერმანია;
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - ადრიანო ტარდიოლო ფილმში, “ბედნიერი ლაზარე”, ალიჩე რორვახერი, იტალია/შვეიცარია/საფრანგეთი/გერმანია;
- საუკეთესო მსახიობი ქალი - ელა სმითი, ფილმში „რეი და ლიზი“, რიჩარდ ბილინგჰემი, დიდი ბრიტანეთი;
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „ჰორიზონტი“, თინათინ ყაჯრიშვილი, საქართველო/შვედეთი;



დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსი

- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - “მამებისა და შვილების შესახებ”, ტალალ დერკი, გერმანია/სირია/ლიბია/ყატარი;
- ჟიურის სპეციალური პრიზი - “დროის ხიდები”, ოდრიუს სტონის, ლატვია;

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექცია

- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - “საშლელი”, დავით ფირცხალავა, საქართველო;
- ჟიურის დიპლომი (სპეციალური მოხსენიება) - გადაეცა ორ ფილმს:
 - „ყველა ის არსება“, ჩარლზ ვილიამსი, ავსტრალია;
 - „საკვები მიტანით“, იაზან ალ გჰაზავი, იორდანია;

BIAFF 2018-ის ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიურიმ - გოგი გვახარია, თეო ხატიაშვილი, ლელა ოჩიაური, გამოვლინა კინოკრიტიკოსთა რჩეული ფილმები:

- საუკეთესო მხატვრული ფილმი - „დონბასი“, სერგეი ლოჟნიცა, გერმანია/უკრაინა/საფრანგეთი/ნიდერლანდები/რუმინეთი;
- ჟიურის სპეციალური მოხსენიება - “ბედნიერი ლაზარე”, ალიჩე რორვახერი, იტალია/შვეიცარია/საფრანგეთი/გერმანია;

BIAFF-ის პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ:

- ლომერ ახვლედიანი (საქართველო)
- გელა კანდელაკი (საქართველო)
- სოსო ბარდანაშვილი (საქართველო)



საქართველო ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალები

საქართველო ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალებზე უკვე მეექვსედ იყო წარმოდგენილი. მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ახალგაზრდულ კინოფესტივალებზე, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, წელს შემდეგი ქართველი მოზარდები გაემგზავრნენ:

- გიორგი სოლომანაშვილი (თბილისი)
- ქეთევან შავაძე (ბათუმი)
- ელენე მინდიაშვილი (გორი, სოფელი დიცი)
- სალომე ბერძენიშვილი (თბილისი)

წლევანდელი კინოფესტივალი გამოირჩეოდა ფილმების მსოფლიო პრემიერების სიუხვით. ფესტივალებზე მიწვეული იყვნენ ფილმების ავტორები. მათთან შეხვედრისა და გასაუბრების შესაძლებლობა მოზარდებს ჩვენების შემდგომ ჰქონდათ. ფესტივალის საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ: სემ კლაფინი, ჯერემი ირვინი, პოლ რუდი, ევანჯელინ ლილი, ანდრეა ბოჩელი...

ჯიფონი არის კინოფესტივალი, სადაც ჟიურის წევრები ბავშვები და მოზარდები არიან. ყოველწლიურად 3000 ბავშვი მსოფლიოს 50 ქვეყნიდან უყურებს ფილმებს სხვადასხვა ნომინაციაში, განიხილავს მათ და გამოავლენს საუკეთესოს. ისევე როგორც წინა წლებში, ქართველი მოზარდები ჟიურის აქტიური წევრები იყვნენ, ფილმების ავტორებს საინტერესო კითხვებს უსამდნენ და ჩართული იყვნენ კინოფესტივალის ყველა მნიშვნელოვან აქტივობაში.



ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

1-7 სექტემბერს, უკვე მერვედ გაიმართა ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც წელს რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლის თავს მიეძღვნა. ფესტივალის გახსნაზე აჩვენეს დოკუმენტური ფილმი “ნიქოზი 2008” (ავტორი: მიტროპოლიტი ისაია ჭანტურია), რომელიც ომის მიმდინარეობისას ნიქოზში დარჩენილი ადამიანების შესახებ მოგვითხრობს. ასევე, ფესტივალის სტუმრებს 1 კვირის მანძილზე შეეძლოთ ენახათ გამოფენა - “ნიქოზი 2008 წლის აგვისტო”.

ნიქოზის კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო დრეზდენისა და ანსის კინოფესტივალების გამორჩეული ფილმები, ასევე ანიმაციური ფილმები საქართველოდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, საფრანგეთიდან და სხვა.

ტრადიციულად ნიქოზში მუსიკალური პროგრამაც იყო წარმოდგენილი. ასევე, ფესტივალის ფარგლებში გაიმართა “შემოქმედებითი ევროპის” საქართველოს დესკის საინფორმაციო შეხვედრა.

საერთაშორისო წარმატება

მარიამ ხაჭვანი ევრაზიის კინოფესტივალზე ჟიურის პრიზის მფლობელი გახდა

15-19 სექტემბერს ყაზახეთში, ალმატის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, სადაც თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი “ჰორიზონტი” იყო წარმოდგენილი.

ფილმში შესრულებული მთავარი როლისთვის გიორგი ბოჭორიშვილი დააჯილდოვეს, რომელსაც საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ჯილდო გადაეცა.

“ჰორიზონტის” მსოფლიო პრემიერა რამდენიმე თვის წინ ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ანა ურუშაძის “საშიში დედა” 12 რჩეულ ევროპულ ფილმს შორის მოხვდა

ანა ურუშაძის “საშიში დედა” კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (FIPRESCI) 12 რჩეულ ევროპულ ფილმს შორის მოხვდა. FIPRESCI-ს წევრებს საუკეთესო ევროპული ფილმების გამოვლენა ევროპულმა კინოაკადემიამ სთხოვა, სანამ ევროპული ოსკარის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება.

ქართველი დებიუტანტი რეჟისორის ფილმი ჟან-ლუკ გოდარის, პაველ პავლიკოვსკის და სხვა ცნობილი რეჟისორების ნამუშევრებთან ერთად არის წარმოდგენილი.

European Film Awards-ის დაჯილდოვების ცერემონია 2018 წლის 15 დეკემბერს გაიმართება.





გიორგი ბოჭორიშვილი ალმათის საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს

15-19 სექტემბერს ყაზახეთში, ალმათის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, სადაც თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი “ჰორიზონტი” იყო წარმოდგენილი.

ფილმში შესრულებული მთავარი როლისთვის გიორგი ბოჭორიშვილი დააჯილდოვეს, რომელსაც საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ჯილდო გადაეცა.

“ჰორიზონტის” მსოფლიო პრემიერა რამდენიმე თვის წინ ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ანა ჩუბინიძის “ჯიზის კაცი” ჰიროსიმას საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა

პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია ანიმაციაში - “ჯიზის კაცი” ჰიროსიმას საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა. ანა ჩუბინიძის ნამუშევარი ჟიურის პრიზის მფლობელი გახდა.

პროექტმა "უარყოფითი რიცხვები" პულას კინოფესტივალის ინდუსტრიული სექციის ჯილდო მოიპოვა

ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტი "უარყოფითი რიცხვები" პულას კინოფესტივალის ინდუსტრიული სექციის ჯილდოს მფლობელი გახდა.

ფილმის პროდიუსერს - დავით ისაკაძეს პოსტ პროდუქციისათვის 7500 ევრო გადაეცა.

პულას კინოფესტივალის ინდუსტრიული სექციაში 4 ქართული პროექტი იყო წარმოდგენილი:

- "ჩემი სახლი ტყის პირას" - პროდიუსერი თეკლა მაჭავარიანი;
- "ზამთრის დეპრესია" - პროდიუსერი ვაკო კირკიტაძე;
- "დრამერი" - პროდიუსერი ელენე მარგველაშვილი;
- "უარყოფითი რიცხვები" - პროდიუსერი დავით ისაკაძე;

პროექტი "ინგა" ლიტვის კინოფონდის რჩეული გახდა

ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტი "ინგა" ლიტვის კინოფონდის კოპროდუქციის კონკურსის რჩეული გახდა. ლიტვის კინოცენტრის კომისიის მხრიდან, პროექტმა უმაღლესი ქულები დაიმსახურა.

"ინგა" საქართველო-ლიტვა-ლუქსემბურგის კოპროდუქციაა, რომლის რეჟისორიც დავით აბრამიშვილია. ფილმის წარმოება წლის ბოლომდეა დაგეგმილი.



გელა კანდელაკს ლიეტუვის პრეზიდენტის საპატიო ჯილდო გადასცა

კინორეჟისორს, სცენარისტსა და პროდიუსერს, ხელის ჩრდილების თეატრისა და საგანმანათლებლო ფილმების სტუდია „კვალი XXI-ს“ დამფუძნებელს - გელა კანდელაკს, ლიეტუვის პრეზიდენტის - დალია გრიბაუსკაიტეს ჯილდო ლიეტუვის წინაშე დამსახურებისთვის გადაეცა.

სპეციალურად ამ ფაქტთან დაკავშირებით ლიეტუვის საელჩომ საქართველოში მიღება მოაწყო, სადაც გელა კანდელაკს ჯილდო ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ლინას ლინკევიჩუსმა გადასცა.

"ნამე" ბრიტანული პრემიერა

Aperture: Asia & Pacific Film Festival-მა ზაზა ხალვაშის ფილმის "ნამე" ბრიტანულ პრემიერას უმასპინძლა. ფილმის ჩვენება 8 ივლისს გაიმართა.

"ნამე" ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომელიც საქართველო-ლიტვა-საფრანგეთის კოპროდუქციაა. ფილმის მსოფლიო პრემიერა ტოკიოს საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში შედგა.



მარიამ ხაჭვანის "დედე"

მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმი "დედე" სექტემბრის თვეში არაერთ ქვეყანაში აჩვენეს. ჩვენებები გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურქეთსა და იორდანიაში. ოქტომბრის თვეში კვლავ იგეგმება "დედეს" პრემიერები ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ავისტოს ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით, უკრაინასა და ისრაელში ქართული ფილმების ჩვენებები გაიმართა.

ავისტოს ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით, უკრაინასა და ისრაელში ქართული ფილმების ჩვენებები გაიმართა.

მთელი კვირის განმავლობაში, ისრაელში, ქართული ტელევიზია G TV მაყურებელს შემდეგ ქართულ ფილმებს სთავაზობდა:

- "გაღმა ნაპირი" - რეჟისორი გიორგი ოვაშვილი
- "სხვისი სახლი" - რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე
- "მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე" - რეჟისორი თომა ჩაგელიშვილი
- "მე გადავცურე ენგური" - რეჟისორი ანუნა ბუკია

აღსანიშნავია, რომ ავისტოს ომის 10 წლისთავს უკრაინაც გამოეხმაურა. თომა ჩაგელიშვილის ფილმის "მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე" ჩვენება უკრაინაში, საქართველოს საელჩოში შედგა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, საქართველოს საელჩომ ამერიკაში, ზაზა ურუშაძის გახმაურებული ფილმის "მანდარინები" ჩვენება გამართა.

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე



რეჟისორ ზაზა ხალვაშის ფილმი „ნამე“ ოსკარის უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის იბრძოლებს.

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარის უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის 31 აგვისტოს, სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა დიდი უმრავლესობით გამოავლინა.

ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად სულ 6 ფილმი იბრძოდა:

1. „ხიზულა“ - რეჟისორი გიორგი ოვაშვილი
2. „ნამე“ - რეჟისორი ზაზა ხალვაში
3. „ჰორიზონტი“ - რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი
4. „დედე“ - რეჟისორი მარიამ ხაჭვანი
5. „ექვთიმე ღვთისკაცი“ - რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე
6. „ჰამლეტი“ - რეჟისორი გიორგი მეგრელიშვილი

ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების 91-ე ცერემონია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან კინომოვლენაა, 2019 წლის 24 თებერვალს გაიმართება.



დაიან არონოფსკის ვიზიტი საქართველოში

ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინანტი დარენ არონოფსკი საქართველოში ჩამოვიდა.

ცნობილი ამერიკელი რეჟისორი და სცენარისტი ქვეყანას არასაქმიანი ვიზიტით ეწვია. მიუხედავად ამისა, დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ეროვნული კინოცენტრის თხოვნით, დარენ არონოფსკი ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრას მაინც დათანხმდა.

დარენ არონოფსკის ვიზიტი საქართველოში რამდენიმე დღის მანძილზე გრძელდებოდა. მან თბილისის გარდა მოინახულა ყაზბეგი და ჭიათურა.



საქართველოში "ოქროს გლობუსის" წარმომადგენელი – სერგეი რახლინი ჩამოვიდა

ეროვნული კინოცენტრისა და ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მოწვევით, საქართველოში სამუშაო ვიზიტით სერგეი რახლინი ჩამოვიდა.

წარმოშობით ლატვიელი სერგეი რახლინი ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის უცხო-ენოვანი ფილმების კომიტეტს ხელმძღვანელობს, რომელიც „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოვების ცერემონიაზე წარმოადგენს. წლების განმავლობაში იგი ამავე ცერემონიის სცენარისტი და აღმასრულებელი პროდიუსერი იყო.

ბათუმის კინოფესტივალზე გამგზავრებამდე 1 დღით ადრე, სადაც იგი საერთაშორისო ჟიურის ხელმძღვანელობდა, სერგეი რახლინმა ქართული აუდიტორიისთვის მასტერკლასი ჩაატარა.

გადაიღე საქართველოში

"ჩემი გადნიერი ოჯახი" პირველი ფილმი გახდა, რომელმაც წარმოებისას გაწეული კვალიფიციური ხარჯის 20%-ზე მეტი უკან დაიბრუნა!

ნანა & სიმონის "ჩემი ბედნიერი ოჯახი" პირველი ფილმი გახდა, რომელმაც წარმოებისას გაწეული კვალიფიციური ხარჯის 20%-ზე მეტი უკან დაიბრუნა.

გადაწყვეტილება სპეციალურმა კომისიამ 7 სექტემბერს, ფილმის ნახვის შემდეგ, კინოსახლის განახლებულ დარბაზში, წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღო. 5 კრიტერიუმიდან ფილმმა 4 მათგანი დააკმაყოფილა, შესაბამისად, წარმოებისას გაწეული კვალიფიციური ხარჯის 20 %-თან ერთად, დამატებით 4% მიიღო!



კომისიის წევრები იყვნენ:

1. მიხეილ ხიდურელი - სსიპ „აწარმოე საქართველოში“, დირექტორი;
2. ნანა დოლიძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
3. დავით ვაშაძე - კინოკომისიონერი, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
4. თათია ბიძინაშვილი - პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მენეჯერი;
5. მელანო დურმიშიძე - პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ კოორდინატორი;
6. გიორგი სალაყაია - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კომუნიკაციის დეპარტამენტის, მარკეტინგული კომუნიკაციის სამსახურის უფროსი.
7. მარიამ ცერცვაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეყნის ბრენდის განვითარების დეპარტამენტის კონსულტანტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
8. მარინა ბოჯგუა - საქართველოს ტურიზმი სეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს წარმომადგენელი;

დღეისათვის, პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მიერ, მხარდაჭერილია 16 პროექტი, მათ შორის კოპროდუქციები საფრანგეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინდოეთთან, ბრიტანეთთან, ირლანდიასთან და ჩინეთთან. ამ ეტაპზე ჯამური ინვესტიციის ოდენობა 30 მილიონ ლარს, დასაქმებულთა რაოდენობა კი 3000-ს აღწევს.

პროგრამას „გადაიღე საქართველოში“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს.



კინო ჟესტებით – ყრუ და სმენადაქვეითებული საზოგადოებისთვის ნანა ჯანელიძის ფილმის ჩვენება გაიმართა

თბილისში, “მზიურის” ტერიტორიაზე ნანა ჯანელიძის ფილმის „ნეტავ, იქ თეატრი არის?!“ სპეციალური ჩვენება გაიმართა. ჩვენებამდე მოხდა ფილმის ადაპტირება ყრუ და სმენადაქვეითებული საზოგადოებისთვის.

ფილმის ჩვენების შემდეგ მოეწყო დისკუსია, რომელსაც ფილმის რეჟისორი - ნანა ჯანელიძე და მთავარი როლის შემსრულებელი, ლეგენდარული ქართველი მსახიობი - კახი კავსაძე დაესწრნენ.

“კინო ჟესტებით” ახალგაზრდა ხელოვანთა საერთაშორისო გაერთიანების პროექტია, რომელიც ეროვნული კინოცენტრის, საქართველოს ყრუთა კავშირის და კომპანიის adjaranet.com მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის მიზანია ფილმები ყრუ და სმენადაქვეითებული საზოგადოებისთვის ჟესტური ენის გამოყენებით იყოს ხელმსაწვდომი. ამ ეტაპზე ადაპტირებულია 10 ფილმი.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტონულ მისამართზე - info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge